ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე ჯანდაცვის რეაგირების გაძლიერების საპილოტე პროექტის ოფიციალური დაწყების ღონისძიება კლინიკა „კურაციოში“

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება

თარიღი და დრო: 3 ივლისი, 15:00 საათი
ადგილი: კლინიკა „კურაციო“
მისამართი: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის 16

გვაქვს პატივი მოგიწვიოთ *სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა (Atipfund)* და კლინიკა *„კურაციო“* შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებისა და ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე ჯანდაცვის რეაგირების გაძლიერების საპილოტე პროექტის ოფიციალური დაწყების ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართება **3 ივლისს, 3 საათზე, კლინიკა „კურაციოში“** (მის.: ს. ცინცაძის 16).

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის წინაპირობას წარმოადგენს *ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის* ეგიდით მიმდინარე საპილოტე პროექტი, რომლის მიზანია ჯანდაცვის რეაგირების გაძლიერება ქალთა მიმართ ძალადობასა და ოჯახში ძალადობაზე. პროექტი გულისხმობს სამედიცინო პერსონალის მომზადებას და ინსტიტუციური მექანიზმის შექმნას ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის დროული გამოვლენის, მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

მემორანდუმის ფარგლებში *სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი* უზრუნველყოფს კლინიკის მხარდაჭერას ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურის (სოპ-ის) და შესაბამისი დოკუმენტირების ფორმების დანერგვის მიმართულებით. კლინიკა ერთ-ერთი პირველია იმ სამედიცინო დაწესებულებათაგან, რომელმაც გამოთქვა მზაობა საპილოტე პროექტში ჩართვასთან დაკავშირებით და გამოყო შესაბამისი შიდა რესურსი პილოტის კოორდინირებისათვის.

მემორანდუმს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მხრიდან ხელს მოაწერს ფონდის დირექტორი, მერი მაღლაფერიძე, ხოლო კლინიკა „კურაციოს“ მხრიდან - გენერალური დირექტორი, სოფიო გასიტაშვილი.

ღონისძიების ფარგლებში ასევე მოხდება ქალის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე უკვე გადამზადებული სამედიცინო პერსონალისათვის სერტიფიკატების გადაცემა.

ღონისძიების დღის წესრიგი

თარიღი: 3 ივნისი
დრო: 15:00 სთ.
ადგილი: კლინიკა „კურაციო“ (მის.: ს. ცინცაძის 16).

დრო	ღონისძიება
15:00 – 15:30	**მისასალმებელი სიტყვა** **მერი მაღლაფერიძე -** სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი **სოფიო გასიტაშვილი -** კლინიკის გენერალური დირექტორი **ნინო კიკნაძე** - კლინიკის კლინიკური დირექტორის მოადგილე
15:30 - 15:40	**მემორანდუმის გაფორმების ღონისძიება**
15:40 – 16:00	**სერტიფიკატების გადაცემა**